ხელშეკრულება №25/2019

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

(30100000 საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა)

თბილისი **1 ნოემბერი 2019 წ.**

ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება:

ერთის მხრივ **ააიპ საქართველოს სოლიდარობის ფონდი** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ია მაქაცარია-ჩხაიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს პისიშოპ.ჯი** (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ზურაბ ხორგუაშვილის სახით, ამ ხელშეკრულების ტექსტში ერთად წოდებული - „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე - „მხარე", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველი:

1.1 ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი და საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია ერთი ერთეული ფერადი კატრიჯის (4 ფერიანი) შეძენა დანართის შესაბამისად

3. ხელშეკრულებო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 811 (რვაასთერთმეტი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3.წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4. დაფინანსების წყარო; 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადები

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი ინგოროყვას ქუჩა 7 ,,შემსყიდველის" ოფისი.

4.2. საქონლის მიწოდების განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 5 სამუშაო დღეში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.2 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

5.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია ააიპ სოლიდარობის ფონდი აღმასრულებელი დირექტორი ია მაქაცარია-ჩხაიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება– ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა.

6.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული დუკუმენტაციის ,,შემსყიდველისთვის" წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4. მიღება–ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენის გარეშე, არ მოხდება თანხის გადახდა.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დანართი N1-ის შესაბამისად.

ბ) გაავრცელოს საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთ) წლის განმავლობაში, რომლის მიხედვითაც მისი დაზიანების შემთხვევაში 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთებს ან შეცვლის მას ახლით.

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

დ) უზრუნველყოს შესყიდულის ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით, ასევე უზრუნველყოს საგარანტიო ვადებში ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში ტრანსპორტირება.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება.

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

7.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება-კონტროლი

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

8.2 ინსპექტირებას განახორციელებს: ააიპ საქართველოს სოლიდარობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ია მაქაცარია ჩხაიძე.

9. გარანტია

9.1 შესყიდვის ობიექტზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან ერთი წლის განმავლობაში.

9.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს და უზრუნველყოფს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერას/შეკეთებას 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 7.1 პუნქტებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-9 პუნქტისა.

12. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება-დამატება ხორციელდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების სახით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
12.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
12.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

13. ფორს-მაჟორი

13.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენით.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
13.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. დავების გადაწყვეტა

14.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების

გზით.
14.2. თუ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, დავა გადაწყდება თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
15.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;
15.3.. მხარეთა შეთანხმებით;
15.4 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშ

16. კონფიდენციალობა

16.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე, მისი დამთავრების შემდეგაც „მხარეები“ დაიცავენ და არ გაამჟღავნებენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ზოგადად არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და რომლის შესახებაც „მხარებისთვის“ ცნობილი გახდა ან/და რომელზეც მათ ხელი მიუწვდებათ ამ ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს მის
ფართო განსაზღვრებას და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ასევე ნებისმიერი ფორმატის და შინაარსის: იდეას, მეთოდს, პროცესს, სისტემას, საშუალებას, კონცეფციას, პრინციპს, მოწყობილობას, სერვისს, გეგმას, სტრატეგიას, აღმოჩენას, ფაქტს, გარემოებას და დოკუმენტს. ასევე, „მხარეებთან“ დაცულ, მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემებს), გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.
16.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით ხელშეკრულების „მხარისათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

17. დასკვნითი დებულებები

17.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
17.2 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან. ამასთან,„მხარეები“ ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით, რომლის ფარგლებში ისინი ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის საქმიან რეპუტაციას.

17.3 ერთ-ერთი „მხარის“ მხრიდან ხელშეკრულების ან/და საქართველოს კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე „:მხარის“ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და საქართველოს კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

17.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი ან ხარვეზიანი დებულების ნაცვლად, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის ნორმები.

17.5 ხელშეკრულებაში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითსაც და პირიქით.

17.6 ხელშეკრულების, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია, დასათაურებულია და განლაგებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

17.7 წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება საქართველოს კანონმდებლობის დებულებებს.

17.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორ) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან” ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან”.

18. „მხარეთა“ რეკვიზიტები და ხელმოწერები

18.1 „მხარეები“ ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ამ მუხლში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების შესახებ და ისინი, ცვლილების/დამატების სახით დადგენილი წესით ასახონ ამ ხელშეკრულებაში.

შემსყიდველი:

ააიპ საქართველოს სოლიდარობის ფონდი
თბილისი: ინგოროყვას 7
საინ. კოდი 404474289
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

ია მაქაცარია-ჩხაიძე
დირექტორი

Solidarity Fund of Georgia
Digitally signed by Solidarity Fund of Georgia
Date: 2019.11.01 11:26:09 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს პისიშოპ ჯი
თბილისი ვაჟა ფშაველას გამზ. 18
საინ.კოდი 205198481
თიბისი ბანკი TBCBGE22
ანგ.N GE71TB4088936020100006

ზურაბ ხორგუაშვილი
დირექტორი

PCSHOP.GE LLC
Digitally signed by PCSHOP.GE LLC
Date: 2019.11.01 13:38:43 +04'00'

დანართი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	HP #205A LaserJet Black Cartridge (1,100 pages @ 5%) for HP M154, M180, M171 Printer Series(CF530A)	1	190	190
2	HP #205A LaserJet Cyan Cartridge (900 pages @ 5%) for HP M154, M180, M171 Printer Series(CF531A)	1	207	207
3	HP #205A LaserJet Yellow Cartridge (900 pages @ 5%) for HP M154, M180, M171 Printer Series(CF532A)	1	207	207
4	HP #205A LaserJet Magenta Cartridge (900 pages @ 5%) for HP M154, M180, M171 Printer Series(CF533A)	1	207	207
	სულ			**811**

ია მაქაცარია-ჩხაიძე
დირექტორი

ზურაბ ხორგუაშვილი
დირექტორი